სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

74946196461125

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N251209650

რეგისტრაციის თარიღი

10.09.2025 წ

ნოტარიუსი: ქეთევან ოდილავაძე
მისამართი: თბილისი ჟ. შარტავას ქ 14ა
ტელეფონი: 599514451

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდახუთი წლის ათ სექტემბერს მე ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ.14 ა-ში მომმართა **შპს "იქსმშენი დიდუბე" (ს/ნ 406353832) დირექტორმა ვალერიან კირკიტაძემ** მან განაცხადა, რომ სურს **მინდობილობის** შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთის საშუალებით და დავრწმუნდი რომ, მე ნამდვილად: **შპს "იქსმშენი დიდუბე" (ს/ნ 406353832) დირექტორმა ვალერიან კირკიტაძემ (დაბ.11.04.1975წ პ/ნ 01024015037)** მომმართა. შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია, შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მასზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები: მარწმუნებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან პირადად წაიკითხა ეს მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

მე, **შპს "იქსმშენი დიდუბე"** (ს/ნ 406353832) **დირექტორმა ვალერიან კირკიტაძემ** (დაბ.11.04.1975წ პ/ნ 01024015037) „შემდგომში-მარწმუნებელი"**ლევან ტურძელაძეს** (პ/ნ61001058093) „შემდგომში რწმუნებული" მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება :

„რწმუნებული" უფლებამოსილია წარმოადგინოს მარწმუნებელი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურში, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში, ქ.თბილისის მერიასა და მის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ სამსახურში. „რწმუნებული" უფლებამოსილია „მარწმუნებლის" სახელით შეათანხმოს/დააკორექტიროს განაშენიანების რეგულირების გეგმა, შეათანხმოს არქიტექტურული პროექტი, მიიღოს მშენებლობის ნებართვა, მიიღოს დემონტაჟის ნებართვა, მოითხოვოს არსებული პროექტის კორექტირება. იყოს პროექტის დამკვეთი და მშენებლობის მწარმოებელი პირი. შეიტანოს განცხადება, ნებისმიერი სახის მოთხოვნა თუ გარიგება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და ასევე ქ.თბილისის მერიის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ სამსახურში. მოითხოვოს N148049 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.

ზემოაღნიშნული დავალების შესასრულებლად, რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ხოშარაულის ქუჩა N29, მიწის საკადასტრო კოდი: 01.13.05.004.139.

მინდობილობა გაცემულია 2 (ორი) წლის ვადით

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელს.

წინამდებარე მინდობილობა მარწმუნებელს წაუკითხა ნოტარიუსმა ქეთევან ოდილავაძემ, მარწმუნებელმა მოიწონა მინდობილობა და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 30.00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის 507-ე დადგენილების **31-ე, მუხლისა,** და დღგ. 5.4 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის N169-ე მუხლის პირველი ნაწილისა აგრეთვე გადახდილია ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური **5 ლარი,** თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის 507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი ----------

ნოტარიუსი ---------- ქ. ოდილავაძე